



ევროკავშირი მხარს უჭერს კვლევას და ინოვაციებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

კვლევა და ინოვაციები ეხმარება პროდუქტიულობის ზრდას, ქმნის მეტ სამუშაო ადგილს, აუმჯობესებს კონკურენტუნარიანობას და ინვესტს ეკონომიკის ზრდის დაჩქარებას. აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვის რესპუბლიკაში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში ევროკავშირი აღნიშნულს ხელს უწყობს ინიციატივის EU4Innovation საშუალებით, რომელიც ინდივიდებს, სტუდენტებს, მეცნიერებს, კომპანიებს და საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაფინანსებით უჭერს მხარს მრავალ სექტორში. გარდა ამისა, ევროკავშირი თანამშრომლობს ეროვნულ ხელისუფლებებთან პარტნიორი ქვეყნების მოდერნიზების მიზნით და მათი კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად კვლევის და ინოვაციების სექტორში.

რა სახის მხარდაჭერაა ხელმისაწვდომი?

რეგიონის მასშტაბით:

ჰორიზონტი 2020

30 მილიარდამდე ევროს ოდენობის ინვესტიციით 2018-2020 წლებში, „ჰორიზონტი 2020“ წარმოადგენს ევროკავშირის დღემდე არსებულ უდიდეს კვლევის და ინოვაციების პროგრამას. სომხეთი, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა და უკრაინა არიან „ჰორიზონტი 2020“-თან ასოცირებული ქვეყნები და მონაწილეობენ პროგრამაში იმავე წესების საფუძველზე, როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები. მეცნიერებს აზერბაიჯანიდან და ბელარუსიდან ასევე აქვთ დაფინანსების მიღების უფლება.

ევროკავშირის პროგრამა „ჰორიზონტი 2020“ იღებს განაცხადებს კონკურსის საფუძველზე სხვადასხვა სფეროში, მათ შორის:

- ბრწყინვალე მეცნიერება
- ინდუსტრიის წამყვანი მდგომარეობა
- საზოგადოებრივი გამოწვევები
- ბრწყინვალეების გავრცელება და მონაწილეობის გაფართოება
- მეცნიერება საზოგადოებასთან და საზოგადოებისთვის
- ევროპის ინოვაციების და ტექნოლოგიის ინსტიტუტი (EIT)
- ევროპის ატომური ენერგეტიკის გაერთიანება Euratom

ახალგაზრდებს, კომპანიებს, სამოქალაქო საზოგადოებას, მეცნიერებს და სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ მხარდაჭერა პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“ განაცხადების შეტანით **EaP Plus platform** საშუალებით რეგიონულ დონეზე და **RI-LINKS2UA** საშუალებით ორმხრივ დონეზე უკრაინასთან ერთად.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებსაიტებს:
www.ec.europa.eu/programmes/horizon2020
www.eap-plus.eu
www.ri-links2ua.eu

EaP CONNECT

ევროკავშირის პროგრამა **EaP Connect** ორ მილიონამდე ადგილობრივ მეცნიერს, სტუდენტს და აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს 700-ზე მეტი დაწესებულებიდან უზრუნველყოფს გლობალური კვლევის პლატფორმების ხელმისაწვდომობით, და ერთმანეთთან აკავშირებს კვლევით და საგანმანათლებლო წრეებს მაღალსიჩქარიანი ფართოდაპაზონიანი ინტერნეტის ქსელის საშუალებით.

ეწვიეთ ამ ვებსაიტს იმის გასაგებად, თუ რომელი უნივერსიტეტები არიან დაკავშირებული ქსელთან:
www.eapconnect.eu

სხვა შესაძლებლობები:



სომხეთის მცხეთის, ტექნოლოგიის, საინჟინრო და მათემატიკის ფაკულტეტების სტუდენტები:

ევროკავშირი მხარს უჭერს სომხეთის სხვადასხვა უნივერსიტეტების მეცნიერების, ტექნოლოგიის, საინჟინრო და მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტების პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების მიღებას მათ სპეციალობაში. ახალი EU4Innovation ცენტრი TUMO – ერევნის შემოქმედებითი ტექნოლოგიების ცენტრი, მსურველებს სთავაზობს:

- პრაქტიკულ სემინარებს
- პროექტზე დამყარებულ ინსტრუქციებს
- თანამედროვე კვლევის საშუალებებს

დამატებით ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: www.tumo.org



მოლდოვას რეგიონული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ცენტრები:

მაღე კაჭულში და ბალტიში გაიხსნება ახალი რეგიონული ინოვაციის და ტექნოლოგიის ცენტრები ადგილობრივი ინოვაციური სტარტაპების და მენარმეების დასახმარებლად საკუთარი პოტენციალის გაზრდაში. გარდა ამისა, ცენტრები იმუშავებენ საერთაშორისო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიების მოზიდვაზე ინვესტიციების განსახორციელებლად მოლდოვაში.

ცენტრები ასევე იმუშავებენ სკოლებთან მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიის და მათემატიკის სწავლების პოპულარიზაციის მიზნით, რაც დაეხმარება ახალგაზრდებს ხარისხიანი სამუშაოს პოვნაში მათ მშობლიურ მოლდოვაში.



ქართული სტარტაპები:

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სტარტაპების დახმარებაში მათთვის ინვესტიორებისგან დაფინანსების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

დამატებით ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: www.gita.gov.ge



უკრაინული მცირე და საშუალო საწარმოები:

სესხები ადგილობრივ ვალუტაში მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელმისაწვდომია ევროკავშირის EU4Business ინიციატივის საშუალებით. ინოვაციურ უკრაინულ კომპანიებს შეუძლიათ ჰქონდეთ უკეთესი პირობები ხელმისაწვდომი გრძელვადიანი დაფინანსების მოსაპოვებლად ადგილობრივ ვალუტაში. ამ სესხების მიზანია მხარი დაუჭიროს ადგილობრივი კომპანიების პოტენციალის გაძლიერებას ინოვაციების დასაფინანსებლად და შესაძლებლობების გასაფართოებლად.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებსაიტს: www.eu4business.eu/ua/ ან დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ პროკრედიტ ბანკს.



„ჩემი მიზანია საზღვარგარეთ მიღებული მთელი ჩემი ცოდნა და გამოცდილება ჩვენი უნივერსიტეტის განვითარებისთვის გამოვიყენო“.

არმინე აბრამიანი, აგრონომი, გარემოს დაცვის სპეციალისტი და ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, რომელმაც სომხეთის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტში ახლახან შექმნა საერთაშორისო კვლევითი პროგრამების საკოორდინაციო ცენტრი. მან მხარდაჭერა მიიღო პროექტიდან „აღმოსავლეთ პარტნიორობა-პლუს“, მონაწილეობა მიიღო პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“ და ახორციელებს უფრო მეტი პროექტის შემუშავებას, რათა გააძლიეროს უნივერსიტეტის მეცნიერების პოტენციალი, და გაამყაროს კავშირი მეცნიერებას, განათლებას და ბიზნესს შორის.



„ამგვარი პროგრამები ხელს უშლის კვალიფიციური სპეციალისტების ქვეყნიდან გადინებას. ის პირველი გრანტი რომ არ მომეგო, ალბათ საზღვარგარეთ გადავიდოდი საცხოვრებლად, გრანტის მიღებამ კი უკრაინაში განვითარების შანსი მომცა“.

მეცნიერი **ელენა ფხენკო** უკრაინის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის საერთაშორისო კვლევის და ინოვაციების განყოფილების ხელმძღვანელია და ის ექვსი წელია ევროპულ კვლევით პროგრამებთან თანამშრომლობს. ის არის ინოვაციური მენეჯმენტის პროექტის კოორდინატორი, რომელიც ევროპის მენარმეთა ქსელის უკრაინის კონსორციუმის ნაწილია და ხელს უწყობს კომუნიკაციას მეცნიერებასა და ბიზნესს შორის - „იმისათვის, რომ მეცნიერება პრაქტიკული და გამოყენებადი იყოს, აუცილებელია ბიზნესთან კომუნიკაცია ვანარმოთ“, ამტკიცებს ის.